

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი  
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL  
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 90  
წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა  
Anniversary edition dedicated to the 90th anniversary of  
Akaki Tsereteli State University  
Юбилейное издание, посвященное 90-летию Государственного  
университета Акакия Церетели

ISSN 2346-8467

აგრო  
AGRO  
АГРО  
NEWS

№10

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси  
2023

**ჟურნალი წარმოადგენს**  
**იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და**  
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის**  
**პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას**

**სარედაქციო კოლეგია:**

**ლორთქიფანიძე როზა** – (მთავარი რედაქტორი);

**სანთელაძე ნატალია**- (სწავლული მდივანი);

**წევრები:** პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; ხასაია იზოლდა; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაყვალა; ჩახხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარ; კევილიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; ბენიძე ეთერი; ჟორჯოლიანი ცირა; დუმბაძე გუგული; ნემსაძე მარიამი.

**სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:**

ჩუხნო ინა (უკრაინა); გოგთურქ თემალი (თურქეთი); თურგუტ ბულენტი (თურქეთი); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სადინდიევი ულტემურატი (ყაზახეთი).

**The magazine is a periodical scientific publication of**  
**Imereti Agro-ecological Association and**  
**Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.**

**EDITORIAL BOARD**

**Lortkipanidze Roza**– (Editor in Chief);

**Santeladze Natalia**– (Academic Secretary);

**Members:** Papunidze Vano; Shapakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Khasaia Izolda ; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; Xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Benidze Eter; Zhorzholiani Tsira; Dumbadze Guguli; Nemsadze Mariam.

**FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD**

Chuxno Inna (Ykraine); Gokturk Temel (Turkey); Turgut Bulent (Turkey); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

**Журнал представляет**  
**Периодическое научное издание**  
**Союза агроэкологической ассоциации Имерети и**  
**Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели**

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:**

**Лорткипанидзе Роза** – (главный редактор);

**Сантеладзе Наталия** – (Ученый Секретарь);

**Члены:** Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Хасая Изольда; Чабუкиანი Рანი; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чახჩიანი-ანასაშვილი ნუნუ; დობაია თამარ; Кубანეიშვილი მაკა; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Маия; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобавა Тристан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Бенидзе Етер; Жоржوليани Цира; Думбадзе Гугули; Немсадзе Мариам.

**ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:**

Чухно Инна (Украина); Гоктурк Темал (Турция); Тургут Булент (Турция); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндигов Ултемурат (Казахстан)

# შინაარსი

## 1

agraruli mecnierebani  
AGRICAL SCIENCES  
АГРАРНЫЕ НАУКИ

თამილა არდემანაშვილი, ინგა გაფრინდაშვილი, ნანა ჯაბნიძე – კლიმატური ცვლილებების გავლენა აჭარის შავიზღვისპირა ტერიტორიაზე გავრცელებული ბუტია პალმის ტექნიკურ მახასიათებლებზე _____	9
ნინო კვლენჯერიძე, ნატალია სანთელაძე – ნიადაგური კვლევები დაფნის კულტურის გავრცელებისთვის (კახეთის რეგიონი, საქართველო) _____	12
როლანდ კოპალიანი, ანდრო ხეთერელი – “ფიზალისის ( <i>physalis peruviana</i> ) გავრცელების პერსპექტივები საქართველოში _____	16
<b>Roland Kopaliani, Nino Kipiani – Results of Phenological Observation of Hybrid Relatives Obtained by Crossing with Spontaneous Mutants of Lemon Meyer Trifoliolate _____</b>	<b>20</b>
როზა ლორთქიფანიძე, ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, გიორგი იაკობაშვილი – ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე ქლიავის ( <i>Prunus domestica</i> ) სამრეწველო წარმოება იმერეთის რეგიონში _____	23
ნინო მარგველაშვილი – მიღწევები ცხოველთა ტრანსგენეზში _____	26
მაკა ყუბანეიშვილი – გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო - სამკურნალო მცენარეები _____	36
ნანა ჯაბნიძე, რეზო ჯაბნიძე, ლაშა ზოიძე, ხათუნა ბოლქვაძე – აბორიგენული საღვინე ვაზის ჯიში „საწურის“ ფენოლოგიური დაკვირვების შედეგები ქედის მუნიციპალიტეტის პირობებში _____	42
ჯინჭარაძე ნატალია – ტუნგის ხე – ცხიმ-ზეთოვანი კულტურა, მისი აგროტექნოლოგია და სამრეწველო დანიშნულება _____	47
<b>Tristan Jobava – Results of Studying the Intensity of Photosynthesis, Respiration Activity, Pigments and Sugars in Leaves of Lemon Dioskuria According to Periods _____</b>	<b>52</b>
თამარ ხუციძე – ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ჩაის ხსნადი ექსტრაქტის სამკურნალო მეთოდები ინფიცირებული, ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისათვის _____	56

ნუნუ დიაკონიძე, ნინო ხონელიძე – ქუთაისის ბოტანიკური ბაღის  
ფლორის გვიმრები \_\_\_\_\_ 61

ნანა გოგიშვილი – საქართველოში გავრცელებული ტყემლის ჯიშური ფორმების ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა _____	71
ნანა გოგიშვილი – შრომის უსაფრთხოება ტურიზმის სფეროში, გამოწვევები, პრობლემები _____	78
ლუიზა გორგოძე, მარინა კუცია – ზამბახისებრთა (Iridaceae) ოჯახის ზოგიერთი იშვიათი, გადაშენებადი და ენდემური სახეობების ex-situ კონსერვაცია ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში და მათი გამოყენება დეკორატიულ მეზალოგიაში _	83
ეკატერინა გუბელაძე – ზოგიერთ ლამაზადმოყვავილე მერქნიანების ყვავილობა ქუთაისის ბაღებსა და სკვერებში _____	94
სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, შორენა კაპანაძე – სატრაქტორო აგრეგატის კინემატიკის ზოგიერთი საკითხი ფერდობული მიწათმოქმედების პირობებში _____	101
ეკატერინე კახნიაშვილი – მცენარეული ნედლეულით ჩაის პროდუქციის სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების ამაღლება _____	107
ზაზა პაპიძე, შორენა ფხაკაძე – ინვერტორების როლი მზის ელექტროენერგეტიკული სისტემების გამართულ მუშაობაში _____	112
იზა ოჩხიკიძე – მცირე არქიტექტურული ფორმების როლი ლანდშაფტურ დიზაინში _____	118
ცირა ჟორჟოლიანი, ემზარ გორდაძე – ეკოლოგიური კრიზისი და მისი შედეგები _____	123
მაყვალა ფრუიძე, შორენა ჩაკვეტაძე, ეკატერინე ბენდელიანი – კენკროვანი მცენარეებისაგან ბალახოვანი ჩაის მიღების ტექნოლოგია	130
ნანა ქათამაძე – ხილის სხვადასხვა ჯიშების ხელოვნური შრობა _____	137
ქეთევან ქუთელია – ყვავილნარი ყვავილების გარეშე _____	142
ქეთევან ქუთელია – ბონსაის ხელოვნება _____	146
მამუკა წიქორიძე – ატომური ტექნიკის გამოყენება სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ელექტროფიკაციაში _____	151

მანანა კობახიძე, პაპუნა კუპრაშვილი – სამედიცინო ტურიზმი და საქართველო _____	157
სერგო ცაგარეიშვილი, მანანა კობახიძე – ისტორიულ-რომანტიკული ტური ქუთაისში _____	161

ეთერ ბენიძე, გიორგი კილაძე – მცენარეების მნიშვნელობა დასახლებული ტერიტორიების ტემპერატურული რეჟიმის ფორმირებაში _____	173
<b>Kopalian Lia, Kiladze Giorgi, Ekaterine Arveladze, Liana Gogelia – Resort "Dzughuri" (source of immortality) its natural diversity, healing properties and the possibility of tourism development _____</b>	<b>181</b>
<b>Roza Lortkipanidze, Natalia Santeladze – Greenhouse gas emissions in Georgia's agroecological environment _____</b>	<b>184</b>
აკაკი ნასყიდაშვილი – მთიანი აფხაზეთის ბუნება _____	186
ნინო მოწინიძე – მდინარე ხანისწყლის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუჩქნარ-ბალახოვანი მცენარეულობა _	193
ქეთევან ჩიქვინიძე, ნინო მარგველაშვილი – რიდონეტით გამოწვეული ფიზიოლოგიური და გენეტიკური ცვლილებები სოიას ტესტ სისტემაში _____	197
მაია ხელაძე – წყლის რესურსების დაბინძურების გამომწვევი მიზეზები და შედეგები _____	207
გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, კონსტრუქტორი, პედაგოგი _	212
<b>Prominent Georgian Scientist, Constructor, pedagogue _____</b>	<b>217</b>

# 2 **06Մ06ՉԹՈԾ** **ENGINEERING** **ИНЖИНИЕРИЯ**



# ზოგიერთ ლამაზადმოყვავილე მერქნიანების ყვავილობა ქუთაისის ბაღებსა და სკვერებში

## ეკატერინა გუბელაძე

სმმკ, აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ბაღებსა და სკვერებში მხატვრული კომპოზიციების შექმნა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მერქნიანი მცენარეების დეკორატიულ ნიშან-თვისებებზე, რომელთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ყვავილების ფორმას, შეფერვას და ყვავილების პერიოდებს. საკვლევი მცენარეები: სურნელოვანი ოსმანთუსი *Osmanthus fragrans* (Thunb.)L.; ამერიკული ლირიოდენდრონი, ანუ ტიტას ხე-*Liriodendron tulipifera* L.; შროშანისებური მაგნოლია-*Magnolia liliflora* Desr.; ჩვეულებრივი, ანუ ევროპული იუდას ხე-*Cercis siliquastrum* L.; ინდური იასამანი, ანუ ირმის რქა - *Lagerstroemia indica* L.; ლანცეტისებური კალისტემონი-*Callistemon seciosus* DC.; შინაური ნანდინა - *Nandina domestica*.; დიდყვავილა აბელია - *Abelia grandiflora* Rehd.; ინდური როდოდენდრონი-*Rhododendron indicum* (L)sweet.; მტევნისებური ჰორტენზია-*Hydrangea panikulata*.; მუქ-მწვანე ფორზიცია-*Forsythia viridissima* Lindl.. ყვავილობენ საკმაოდ ხანგრძლივად. აღნიშნული მცენარეები შეგვიძლია დავყოთ სამ ჯგუფად: მცენარეები რომლებიც გამოირჩევიან ხანგრძლივი ყვავილობით (123 და 126 დღე) ესენია: შინაური ნანდინა და დიდყვავილა აბელია., მერქნიანები რომლებიც გამოირჩევიან საშუალო ყვავილობის ხანგრძლივობით (56-88 დღემდე) ინდური როდოდენდრონი, ინდური იასამანი, ლანცეტისებური კალისტემონი, მუქ-მწვანე ფორზიცია, შროშანისებური მაგნოლია და ამერიკული ლირიოდენდრონი და ხანმოკლე ყვავილობით გამორჩეული მერქნიანები (39 და 40 დღე) ევროპული იუდას ხე და მტევნისებური ჰორტენზია. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ შერჩეულია ისეთი მერქნიანი მცენარეები რომლებიც ყვავილობენ სამი სეზონის განმავლობაში ადრე გაზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით, რომლებიც როგორც ჰარმონიული, ისე კონტრასტული ეფექტებით უდიდეს როლს ასრულებენ მნახველზე ემოციური ზემოქმედების თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** ყვავილობა, სეზონი, დეკორატიული, ხანგრძლივი, ადაპტაცია.

ქუთაისის სკვერებში გავრცელებული კოლორიტული ეფექტის მომცემი ზოგიერთი მერქნიანი მცენარის ყვავილობა იწყება ადრე გაზაფხულიდან. ყვავილობა კავშირშია ფოტოპერიოდიზმთან. ყვავილობის კავშირი სახეობის გეოგრაფიულ წარმოშობასთან უფრო მეტია, ვიდრე სახეობის ფილოგენეზთან, რაც გამოვლინდა აჭარაში ინტროდუცირებულ წიწვოვანებზე და იგი ფოტოპერიოდიზმთან არის დაკავშირებული (ციცვიძე.ა.1993). დადგენილია, რომ ყვავილობა იცვლება ტემპერატურის, სინათლის ინტენსივობის, ატმოსფერული პირობების გავლენითაც. (გუბელაძე.ე 2006).

ექსპერიმენტმა გვიჩვენა შეიცვალა თუ არა სასიცოცხლო პირობების რიტმი ახალ გარემოში და როგორია მათი ადაპტაციის მიმართულება ცხრილი №1 შესწავლილი მცენარეების უმრავლესობას კოკრები გამოაქვთ საშუალოდ ადრე გაზაფხულიდან ივლისის პირველ რიცხვებამდე, მაგალითად თებერვალში ყვავილების დაკოკრება დაეწყო: მუქ-მწვანე ფორზიციას და შროშანისებურ მაგნო-



ლიას; მარტში აგრძელებს შინაური ნანდინა, სურნელოვანი ოსმანთუსი და ლანცეტისებური კალისტემონი; აპრილში: ჩვეულებრივი ანუ ევროპული იუდას ხე და ინდური როდოდენდრონი; მაისში: დიდყვავილა აბელია და ამერიკული ლირიოდენდრონი ანუ ტიტას ხე; ივნისში მტევნისებური ჰორტენზია; ივლისის დასაწყისში კი ინდური იასამანი. აქედან ყველაზე ხანგრძლივი დრო (24 და 47 დღე) დაკოკრების პერიოდიდან ყვავილობის დაწყებამდე დაჭირდა ლანცეტისებურ კალისტემონსა და შინაურ ნანდინას, ხოლო დანარჩენი საკვლევი მცენარეების უმრავლესობას კი ნაკლები დრო (7-10 დღე).

2022 წელში ყველაზე ადრე თებერვლის მეორე დეკადის ბოლოს (17.02) ყვავილობა დაეწყო ფოთოლმცვენ ბუჩქს, მუქ-მწვანე ფორზიციას, ტემპერატურის საშუალო მაჩვენებელმა ამ დროისათვის შეადგინა 11,3<sup>0</sup>C. და დაასრულა აპრილის მესამე დეკადის შუა რიცხვებში, სულ ყვავილობის ხანგრძლივობა გაგრძელდა 69 დღე, მასიური ყვავილობა კი 17 დღე. რაც შეეხება 2023 წელს მისი ყვავილობა ნაცვლად თებერვლის დასაწყისისა დაიწყო აპრილის მეორე დეკადის დასაწყისში, რაც ტემპერატურების ვარდნამ გამოიწვია (8-13 <sup>0</sup>C. ტემპერატურამდე- თებერვალ, მარტ, აპრილში) და გაგრძელდა 50 დღე, მისმა მასიურმა ყვავილობამ შეადგინა 19 დღე ე. ი. მასიური ყვავილობის ხანგრძლივობა 2 დღით გახანგრძლივდა, ყვავილობის საერთო ხანგრძლივობა კი შემცირდა თითქმის 19 დღით.

25 წლიან ფოთოლმცვენ ხეს, შრომანისებურ მაგნოლიას 2022 წელში ყვავილობა დაეწყო მარტის დასაწყისში (02.03) და გაგრძელდა მაისის ბოლომდე (28.05), ყვავილობის ხანგრძლივობამ სულ შეადგინა 88 დღე, მასიურმა ყვავილობამ მხოლოდ 15 დღე, როცა წლევიანდელმა მასიურმა ყვავილობამ 20 დღით მეტი გვიჩვენა და შეადგინა 35 დღე, სულ ყვავილობის ხანგრძლივობა შემოიფარგლა 77 დღით. ე. ი. წლევიანდელი წელი აღნიშნული მცენარის ყვავილობისთვის უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა.

მარტის მესამე დეკადის ბოლოს (27.03) ყვავილობას იწყებს მარადმწვანე ხე სურნელოვანი ოსმანთუსი. მისი მასიური ყვავილობა საკმაოდ ხანგრძლივად მიმდინარეობდა და შეადგინა 48 დღე, საერთოდ ყვავილობა დაასრულა ივნისის მეორე დეკადის დასაწყისში (11.06) და შეადგინა 76 დღე. 2023 წლის დაბალმა ტემპერატურამ ყვავილობა მცენარეს 23 დღით დაუგვიანა და დაიწყო აპრილის მეორე დეკადის ბოლოს (19.04).

აპრილის მეორე დეკადის შუა რიცხვებიდან (16.04) ყვავილობას იწყებს ინდური როდოდენდრონი ანუ აზალია, რომლის მასიური ყვავილობა გაგრძელდა 28 დღე, საერთოდ კი ყვავილობის ხანგრძლივობამ შეადგინა 56 დღე და დაასრულა ივნისის მეორე დეკადის დასაწყისში (11.06). აღნიშნულმა მცენარემ 2023 წელში 19 დღით ადრე დაიწყო ყვავილობა (28.03), მაგრამ მისი მასიური ყვავი-



ლობა მხოლოდ 2 დღით გაზარდა და სართოდ ყვავილობის ხანგრძლივობა იგივე დღეებით შემოიფარგლა (56 დღე). აპრილის მეორე დეკადიდან ასევე აგრძელებს ყვავილობას ლანცეტისებური კალისტემონი, მისი მასიური ყვავილობა გრძელდება 23 დღე, სულ კი ყვავილობას ასრულებს 63 დღეში. კვლევის მეორე წელს მისი ყვავილობა 14 დღით გვიან დაიწყო (30.04). საკმაოდ დიდი ყვავილობის ხანგრძლივობის ვადით ხასიათდება შინაური ნანდინა, მისი ყვავილობა დაიწყო აპრილის მეორე დეკადის ბოლოს (26.04), მასიური ყვავილობა გაგრძელდა 35 დღე, რაც შეეხება ყვავილობის დასრულებას, საკმაოდ გახანგრძლივდა 123 დღემდე. კვლევის მეორე წელს ყვავილობა მაისის დასაწყისში დაიწყო (01.05), მაგრამ ყვავილობის ხანგრძლივობა და დასრულება ვერ დაფიქსირდა.

მაისის პირველი დეკადის დასაწყისში (03.05) 2022 წელს ყვავილობა დაიწყო ჩვეულებრივმა ანუ ევროპულმა იუდას ხემ, მისი მასიური ყვავილობა მხოლოდ 12 დღეს შეადგენდა, სულ ყვავილობამ შეადგინა 39 დღე. 2023 წელს ყვავილობა წინა წელთან შედარებით 15 დღით ადრე დაიწყო (18.04).

2022 წლის მაისის მეორე დეკადის შუა რიცხვებიდან (16.05) ყვავილობას აგრძელებს ფოთოლმცვენი ხე ამერიკული ლირიოდენდრონი ანუ ტიტას ხე, მისი მასიური ყვავილობა 56 დღით განისაზღვრა და დაასრულა ივლისის მესამე დეკადის დასაწყისში (23.07), საერთოდ ყვავილობა კი გახანგრძლივდა 82 დღემდე და დასრულდა აგვისტოს პირველ დეკადაში (06.08).

ივნისის თვეში ყვავილობენ დიდყვავილა აბელია და მტევნისებური ჰორტენზია. რაც შეეხება დიდყვავილა აბელიას, ივნისის პირველი დეკადის დასაწყისში დაიწყო ყვავილობა, მასიურ ყვავილობის დაწყებას დაჭირდა 49 დღე, რომელიც გაგრძელდა 56 დღე, სულ ყვავილობის ხანგრძლივობამ შეადგინა 126 დღე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული მცენარე გამორჩეულია ხანგრძლივი და უზვი ყვავილობით. მტევნისებურმა ჰორტენზიამ კი ყვავილობა ივნისის მესამე დეკადის შუა რიცხვებიდან დაიწყო (25.06), მისი მასიური ყვავილობა გაგრძელდა 21 დღე, რომელიც დასრულდა ივლისის მესამე დეკადის დასაწყისში, ხოლო სულ ყვავილობა შემოიფარგლა 41 დღით.

გასული წლის ივლისის შუა რიცხვებიდან (16.07) ყვავილობა დაიწყო ვარდისფრად მოყვავილე ხემ ინდურმა იასამანმა, მისი მასიური ყვავილობა გაგრძელდა 34 დღე და დასრულდა სექტემბრის პირველი დეკადის ბოლოს (10.09), თუმცა საერთო ყვავილობის ხანგრძლივობამ შეადგინა 76 დღე, ე. ი ყვავილობა სულ გაგრძელდა სექტემბრის ბოლომდე (01.10).

ინტროდუცირებული მცენარეების ყვავილობის ვადების სიმყარე ძირითადად გამოიხატა მხოლოდ ორი წლის განმავლობაში ზოგიერთ საკვლევ მცენარეებზე, რომელთა ყვავილობა იწყებოდა ადრე გაზაფხულიდან და მთავრდებოდა მაისის ბოლომდე, ესენია: მუქ-მწვანე ფორზიცია, შროშანისებური მაგნოლია და

ინდური როდოდენდრონი. ორწლიანი მონაცემების შედარებას თუ დავიწყებთ გამოვლინდა, რომ ყვავილობის დაწყებასა და ხანგრძლივობას აკონტროლებს ტემპერატურა და ნალექები, 2023 წელში შედარებით დაბალი ტემპერატურები დაფიქსირდა ყოველთვიურად ყვავილობის პერიოდში, განსაკუთრებით აისახა ეს მუქ-მწვანე ფორზიციაზე და ყვავილობა შეუმცირდა 19 დღით. მაგრამ რიგი მცენარეების ყვავილობის დაწყებით მაინც შეგვიძლია დავაფიქსიროთ რომ, ყვავილობა დაუგვიანდა 2023 წელს სურნელოვან ოსმანთუსს, ლანცეტისებურ კალისტემონს და შინაურ ნანდინას 15-22 დღემდე.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს მიერ შერჩეულია ისეთი მერქნიანი მცენარეები რომლებიც ყვავილობენ სამი სეზონის განმავლობაში ადრე გაზაფხულიდან შემოდგომის ჩათვლით. ამასთანავე მცენარეები შეგვიძლია დავყოთ 3 ჯგუფად: 1 ჯგუფში შედის ისეთი მერქნიანები რომლებიც გამოირჩევიან ხანგრძლივი ყვავილობით (123 და 126 დღე), ესენია: შინაური ნანდინა და დიდყვავილა აბელია. მეორე ჯგუფში შედის ისეთი მერქნიანები რომლებიც გამოირჩევიან ხანმოკლე ყვავილობით (39 და 40 დღე), ესენია: ევროპული იუდას ხე და მტევნისებური ჰორტენზია. მესამე ჯგუფში კი ისეთი მერქნიანები რომლებიც გამოირჩევიან საშუალო ყვავილობის ხანგრძლივობით (56-88 დღემდე), ესენია: ინდური როდოდენდრონი, ინდური იასამანი, ლანცეტისებური კალისტემონი, მუქ-მწვანე ფორზიცია, შროშანისებური მაგნოლია და ამერიკული ლიროდენდრონი.

ყვავილობა

ცხრილი № 1.

	სახეობა	დაკვირვების წელი	დაკვირვება	ყვავილობა				მასიური ყვავილობის ხანგრძლივობა დღეებში	ყვავილობის ხანგრძლივობა დღეებში სულ
				დასაწყისი	მასიური ყვავილობის დაწყება	მასიური ყვავილობის დასრულება	დასასრული		
	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	სურნელოვანი ოსმანთუსი - <i>Osmanthus fragrans</i> (Thunb.)L	2022	20.03.	27.03.	10.04.	28.05	11.06.	48	76
		2023	11.04.	19.04.	3.05.	-	-	-	-
2	ამერიკული ლირიოდენდრონი, ანუ ტიტას ხე - <i>Liriodendron tulipifera</i> L.	2022	10.05	16.05.	28.05.	23.07.	06.08.	56	82
		2023	-	-	-	-	-	-	-
3	შროშანისებური მაგნოლია <i>Magnolia liliflora</i> Desr.	2022	23.02.	02.03.	19.03.	03.04.	28.05.	15	88
		2023	21.0.2	28.02.	07.03.	11.04.	16.05.	35	77
4	ჩვეულებრივი, ანუ ევროპული იუდას ხე - <i>Cercis siliquastrum</i> L.	2022	26.04.	03.05.	16.05.	28.05.	11.06.	12	39
		2023	11.04	18.04.	-	-	-	-	-
5	ინდური იასამანი, ანუ ირმის რქა - <i>Lagerstroemia indica</i> L.	2022	09.07.	16.07.	06.08.	10.09.	01.10.	34	76
		2023	-	-	-	-	-	-	-
6	ლანცეტისებური კალისტემონი - <i>Callistemon seciosus</i> DC	2022	23.03	16.04.	19.05.	11.06.	18.06.	23	63
		2023	04.04.	30.04.	-	-	-	-	-
7	შინაური ნანდინა - <i>Nandina domestica</i>	2022	09.03.	26.04.	25.06.	30.07.	27.08.	35	123
		2023	14.03	01.05.	-	-	-	-	-
8	დიდყვავილა აბელია - <i>Abelia grandiflora</i> Rehd.	2022	25.05.	04.06.	23.07.	17.09.	08.10.	56	126

		2023	28.05	-	-	-	-	-	-
9	ინდური როდო- დენდრონი- Rhododendron indicum (L)sweet	2022	08.04.	16.04.	03.05.	28.05.	11.06.	28	56
		2023	21.03	28.03.	04.04.	02.05.	3.05.	30	56
1 0	მტევნისებური ჰორტენზია - Hydrangea panikulata	2022	12.06.	25.06.	02.07.	23.07.	06.08.	21	41
		2023	-	-	-	-	-	-	-
1 1	მუქ-მწვანე ფორზიცია - Forsythia viridissima Lindl..	2022	05.02.	17.02.	02.03.	19.03.	26.04.	17	69
		2023	26.03	11.04.	23.04.	11.05.	30.05.	19	50

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ტყავაძე მ. , კილაძე რ., გუბელაძე ე. - დეკორაციული დენდროლოგია. წიგნი 1. ქ. ქუთაისი, აწსუ-ის გამომცემლობა, 2013 წ. 220 გვ.
2. ტყავაძე მ., კილაძე რ., გუბელაძე ე. - დეკორაციული დენდროლოგია. წიგნი 2, ნაწილი 1. ქ. ქუთაისი, აწსუ-ის გამომცემლობა, 2014 წ. 210 გვ.
3. ციციძე ა. წიწვოვანების ზრდა-განვითარების თავისებურებებია აჭარაში, თბილისი, 1993 წ. გვ. 50 გვ.
4. გუბელაძე ე. იმერეთში გავრცელებული ზოგიერთი ფოთლოვანი მერქნიანი პარკოსანი-მცენარეების ბიო-ეკოლოგია და გამოყენება მწვანე მშენებლობა-ში.სადისერტაციო ნაშრომი ქუთაისი, 2006 წ.145 გვ.

## **Ekaterine Gubeladze**

Academic doctor, Associated professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

*The development of artistic compositions in gardens and squares is greatly influenced by the decorative attributes of coniferous plants. Among these, the shape, color, and flowering periods of the flowers hold a prominent position. Research plants: Osmanthus fragrans (Thunb.)L.; Liriodendron tulipifera L.; Magnolia liliflora Desr.; Cercis siliquastrum L.; Lagerstroemia indica L.; Callistemon seciosus DC.; Nandina domestica.; Abelia grandiflora Rehd.; Rhododendron indicum (L)sweet.; Hydrangea panikulata. And Forsythia viridissima Lindl. bloom for quite a long time.*

**Key words:** flowering, season, decorative, lasting, adaptation.

The mentioned plants can be divided into three groups: plants that are distinguished by long flowering (123 and 126 days), which are: Nandina domestica and Abelia grandiflora Rehd.; Coniferous that are distinguished by the average duration of flowering (up to 56-88 days): Rhododendron indicum (L)sweet., Lagerstroemia indica L., Callistemon seciosus DC., Forsythia viridissima Lindl., Magnolia liliflora Desr. and Liriodendron tulipifera L.; Coniferous with short flowering (39 and 40 days): Cercis siliquastrum L. and Hydrangea panikulata. Hence, we have chosen coniferous plants that bloom throughout three seasons, spanning from early spring to autumn. These selections aim to exert a significant emotional impact on the observer, incorporating both harmonious and contrasting effects.

Most of the studied plants produce buds on average from early spring to the beginning of July, for example, in February the following plants start budding: Forsythia viridissima Lindl. and magnolia liliiflora;

Continue in March: Nandina domestica., Osmanthus fragrans (Thunb.)Lus and Callistemon seciosus DC. In April: common i.e. Cercis siliquastrum L. and Rhododendron indicum (L) sweet.; In May: Abelia grandiflora Rehd. and Liriodendron tulipifera L. or tulip tree; In June, Hydrangea panikulata.; At the beginning of July, Lagerstroemia indica L..

Among these, Lanceolate Callistemon and Domestica Nandina required the longest time, ranging from 24 to 47 days from the budding stage to the onset of flowering. In contrast, the majority of the other studied plants exhibited a shorter duration, typically ranging from 7 to 10 days. Forsythia viridissima Lindl. started its earliest flowering at the close of the second decade of February (17.02) in 2022, with an average temperature of 11.3°C at that time. This flowering period extended until the middle of the third decade of April, encompassing a total duration of 69 days, with a massive flowering phase of 17 days. As for 2023, its flowering started at the beginning of the second decade of April instead of the beginning of February, which was caused by the drop in temperatures (to -13 0C in February, March, April) and lasted 50 days, its massive flowering was 19 days.

In 2022, the magnolia liliiflora started its blooming phase at the start of March (02.03) and continued until the end of May (28.05), resulting in a total flowering duration of 88 days. The mass flowering period, however, spanned only 15 days. In contrast, during the current year, mass flowering extended for an additional 20 days, totaling 35 days, the overall flowering duration was limited to 77 days, making this year more conducive to the flowering of the magnolia liliiflora.

Starting from the middle of the second decade of April (16.04), Rhododendron

*indicum* (L.) Sweet, also known as Azalea, begins its blooming phase. Azalea's mass flowering persists for 28 days, with the overall flowering period spanning 56 days and concluding at the start of the second decade of June (11.06). *Callistemon seciosus* DC continues its blooming cycle from the second decade of April, with a 23-day mass flowering duration and completing the entire flowering process in 63 days. *Nandina domestica* is characterized by a rather lengthy flowering period, commencing at the end of the second decade of April (26.04), with a mass flowering duration of 35 days - the end of the flowering phase extends significantly, reaching 123 days. In the second year of the study, flowering begins at the beginning of May (01.05). In the early days of May during 2022 (03.05), the common or European Judas tree started flowering, with a mass flowering duration of only 12 days. In 2023, flowering started 15 days earlier than the preceding year (18.04). From the middle of the second decade of May in 2022 (16.05), the deciduous tree *Liriodendron tulipifera* L., commonly known as the tulip tree, continued to bloom. Its mass flowering spanned 56 days and concluded at the beginning of the third decade of July (23.07), with the overall flowering period extending to 82 days. *Abelia grandiflora* Rehd and *Hydrangea paniculata* bloom during the month of June. For *Abelia grandiflora* Rehd, flowering commenced in early June, with the onset of mass flowering lasting 49 days, extending for a total of 56 days. Notably, this plant is characterized by a prolonged and abundant flowering period, totaling 126 days. Cluster hydrangea initiated its blooming phase in the middle of the third decade of June (25.06), with mass flowering persisting for 21 days, concluding at the start of the third decade of July. The overall flowering duration for cluster hydrangea was limited to 41 days.

The consistency in flowering dates for introduced plants was primarily evident over two years, especially for certain species that initiated flowering from early spring and continued until the end of May. Notably, *Forsythia viridissima* Lindl., *Magnolia liliflora* Desr, and *Rhododendron indicum* (L.) Sweet were among these plants.

When comparing the two-year data, it became evident that the start and duration of flowering are influenced by temperature and precipitation. In 2023, relatively low temperatures were recorded every month during the flowering period, significantly impacting *Forsythia Viridissima* Lindl., resulting in a reduction of the flowering period by 19 days. However, it is noteworthy that despite the delayed onset of flowering for certain plants, such as fragrant *Osmanthus*, lanceolate *Callistemon*, and *Domestica Nandina*, by 15-22 days in 2023, flowering eventually occurred. Therefore, we can say that we have selected such coniferous plants that bloom in three seasons from early spring to autumn. In addition, we can divide the plants into 3 groups: The first group includes plans with long flowering periods (123 and 126 days): *Nandina domestica* and *Abelia grandiflora* Rehd. The second includes those with short flowering periods (39 and 40 days): *Cercis siliquastrum* L. and *Hydrangea paniculata*. And the third group includes those with medium flowering periods (up to 56-88 days): *Rhododendron indicum* (L.) Sweet, *Lagerstroemia indica* L., *Callistemon seciosus* DC., *Forsythia viridissima* Lindl., *Magnolia liliflora* Desr., and *Liriodendron tulipifera* L.

## გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, კონსტრუქტორი, პედაგოგი



110 წელი შესრულდა საქართველოში საქტრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანადმშენებლობის, სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციისათვის განკუთვნილი მანქანათა სისტემების ფუძემდებლის, გენერალური კონსტრუქტორის, ლენინური პრემიის ლაურეანტის, სოციალისტური შრომის გმირს, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სოფლის-მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ შალვა კერესელიძის დაბადებიდან.

ბატონი შალვა ადამიანთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა წინაშე გარდაცვალებაც კი უძღურია და რომელიც მარადიულად განაგრძობენ არსებობას მათ მიერ წამოწყებულ და შთამომავლობისათვის დატოვებული საქმეების გამო.

